EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თქვენი საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში:

როგორ მივმართოთ სასამართლოს და როგორ განიხილება თქვენი საჩივარი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი საჩივრების დიდი უმრავლესობა დაუშვებლად ცხადდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სასამართლო არსებითად არ განიხილავს, რადგან საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს. საჩივრის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.

ამიტომ, თუკი არ გსურთ, რომ სასამართლომ დაუშვებლად სცნოს თქვენი საჩივარი, მნიშვნელოვანია, საჩივარმა დააკმაყოფილოს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმი. საჩივრის წარმოდგენამდე, გთხოვთ გაეცნოთ სასამართლოს ინტერნეტ გვერდს, განსკუთრებით კი დოკუმენტს „პრაქტიკული სახელმძღვანელო დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ“.

თქვენ გსურთ სასამართლოში საჩივრის შეტანა

საჩივრის ფორმა განთავსებულია სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე. ჩამოტვირთეთ და შეავსეთ ფორმის ყველა ველი, გამონაკლისის გარეშე და გაუგზავნეთ სასამართლოს შესაბამისი დოკუმენტების ასლებთან ერთად - არ წარმოადგინოთ დედნები, რადგან სამართალწარმოების ბოლოს დოკუმენტები არ დაგიბრუნდებათ.

სასამართლოს არ მიმართოთ ამობეჭდილი ფორმის გამოგზავნის მოთხოვნით; თქვენ დაზოგავთ დროს თუ თავად ამობეჭდავთ და უზრუნველყოფთ საჩივრის სასამართლოსადმი დროულად წარდგენას (გაეცანით სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე არსებულ დოკუმენტებს „პრაქტიკული სახელმძღვანელო საჩივრის წარმოდგენის შესახებ“ და „ინსტრუქცია საჩივრის ფორმის შევსების შესახებ“).

თუკი საჩივარი არასრულია, არსებობს საფრთხე, რომ სასამართლო მას არ განიხილავს, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია გულმოდგინედ შეავსოთ საჩივრის ფორმის ყველა ველი. თუკი საჩივრის რომელიმე ველი არ არის ჯეროვნად შევსებული ან აკლია ინფორმაცია ან არ დაგირთავთ საჭირო დოკუმენტების ასლები, სასამართლომ შესაძლებელია განხილვის გარეშე განაცხადოს უარი საჩივრის დარეგისტრირებაზე.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის მიერ. იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ძალას არ ატარებს. მისი მიზანია მოგაწოდოთ ზოგადი ინფორმაცია სასამართლოს მუშაობის შესახებ.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად გაეცანით სამდივნოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებს (განთავსებული სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე: www.echr.coe.int) და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამის მუხლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეგიძლიათ მიმართოთ ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე - ფრანგული და ინგლისური - ან ევროპის საბჭოს წევრი ნებისმიერი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე.

სამართალწარმოების საწყის ეტაპზე სავალდებულო არ არის გყავდეთ ადვოკატი. თუმცა, თუკი გადაწყვეტთ ადვოკატის მომსახურებით ისარგებლოთ, სასამართლოს უნდა გამოუგზავნოთ სათანადოდ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც უფლებას ანიჭებს ადვოკატს წარმოგადგინოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

საჩივრის ფორმის ყველა ველის შევსების შემდეგ გამოაგზავნეთ იგი და შესაბამისი დოკუმენტების ასლები შემდეგ მისამართზე:

The Registrar
European Court of Human Rights
Council of Europe
67075 Strasbourg cedex
France

უმჯობესია საჩივრის ფორმა და დოკუმენტები დაზღვეული ფოსტით გამოაგზავნოთ. საჩივარი უნდა გამოაგზავნოთ ეროვნულ დონეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების თარიღიდან ოთხი თვის ვადაში. საჩივრის გამოგზავნის თარიღად სასამართლო მიიჩნევს კონვერტზე დატანილი საფოსტო შტამპის თარიღს. **გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საჩივრის გამოგზავნა შესაძლებელია მხოლოდ ფოსტით.**

ნებისმიერ შემთხვევაში, გირჩევთ საჩივარი გამოაგზავნოთ ეროვნულ დონეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებით სამართალწარმოების დასრულდებიდან **რაც შეიძლება მალე**.

თქვენ უკვე გააგზავნეთ საჩივარი სასამართლოში

თქვენი საჩივარი მიდის სასამართლოს საფოსტო განყოფილებაში, რომელიც დღეში დაახლოებით 1,500 წერილს იღებს. მიღებული წერილების დიდი რაოდენობის გამო სასამართლო მაშინათვე ვერ დაგიდასტურებთ საჩივრის მიღებას.

არ დარეკოთ სასამართლოში იმის გასარკვევად მიიღეს თუ არა თქვენი საჩივარი. დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში სასამართლო თავად დაგიკავშირდებათ.

საფოსტო განყოფილება ახარისხებს შემოსულ წერილებს და აგზავნის თქვენს საჩივარს შესაბამის იურიდიულ განყოფილებაში, კერძოდ კი იმ იურიდიულ განყოფილებაში, რომელიც იხილავს იმ სახელმწიფოს საქმეებს რომლის წინააღმდეგაც მიმართულია თქვენი საჩივარი. მაგალითისათვის, გერმანიის წინააღმდეგ საჩივარი გაიგზავნება იმ იურიდიულ განყოფილებაში, რომელიც იხილავს გერმანულ საქმეებს, რადგან ამ განყოფილებაში გერმანული ენისა და გერმანიის კანონმდებლობის მცოდნე თანამშრომლები მუშაობენ.

თქვენ საქმეს მიენიჭება ნომერი და განიხილება იურისტის მიერ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღო თქვენი საჩივარი; ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ თქვენი საჩივარი დარეგისტრირდა. **თუკი სასამართლო თქვენ დაგიკავშირდებათ აუცილებელია უპასუხოთ დადგენილ ვადაში. სხვაგვარად შესაძლოა თქვენი საქმის განხილვაზე უარი გეთქვათ ან მოხდეს საქმის მასალების განადგურება.**

მას შემდეგ რაც სასამართლოს ექნება საქმის განხილვისათვის საჭირო ყველა ინფორმაცია, თქვენი საჩივარი განსახილველად გადაეცემა სასამართლოს ერთ-ერთ შემადგენლობას.

მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, მაშინაც კი, თუ გეჩვენებათ, რომ იგი ხანგრძლივად მიმდინარეობს, აუცილებელია დაელოდოთ სანამ სასამართლო თავად არ დაგიკავშირდებათ. ყოველწლიურად მიღებული საჩივრების დიდი რაოდენობის გამო (50,000-ზე მეტი) და მის წარმოებაში უკვე არსებული საქმეების კიდევ უფრო დიდი რაოდენობის გამო, სასამართლო ვერ დაგიდასტურებთ თქვენი წერილებისა და დოკუმენტების მიღებას და ვერც იმას გეტყვით თუ სავარაუდოდ როდის მოხდება თქვენი საქმის განხილვა.

სასამართლოში სამართალწარმოება წერილობით ხორციელდება. თუ გსურთ სასამართლოს მიაწოდოთ ინფორმაცია, ეს აუცილებლად წერილობით უნდა მოხდეს.

თქვენი საჩივრის განხილვა

1. სასამართლოს შემადგენლობა

მას შემდეგ რაც სასამართლო მიიღებს თქვენი საქმის განხილვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტს, თქვენი საჩივარი გადაეცემა სასამართლოს ერთ-ერთ შემადგენლობას თქვენი საქმის კატეგორიის მიხედვით: ერთი მოსამართლე, კომიტეტი ან პალატა.

- თუკი თქვენი საჩივარი აშკარად დაუშვებელია იმის გამო, რომ არ აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა მოთხოვნას, მას **ერთი მოსამართლე განიხილავს.** განიხილავს. მოსამართლის გადაწყვეტილება საქმის დაუშვებლობაზე საბოლოოა და ამის შესახებ თქვენ წერილობით გეცნობებათ. **დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება არ საჭვრდება და მასზე დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. სასამართლო დახურავს საქმეს და მოგვიანებით გაანადგურებს საქმის მასალებს.**

- თუ თქვენი საქმე განმეორებად საქმედ მიიჩნევა, ანუ ეხება საკითხს, სადაც რამდენიმე საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, მას **3 მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტი** კომიტეტი განიხილავს. ასეთ შემთხვევაში თქვენ მიიღებთ წერილს, რომელიც განმარტავს შემდგომ პროცედურას. **შეგახსენებთ, რომ სასამართლო თავად დაგიკავშირდებათ თუკი და როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის.**

- თუ თქვენი საქმე არ მიიჩნევა განმეორებად საქმედ, მას განიხილავს **7 მოსამართლისაგან შემდგარი პალატა.** პალატამ შესაძლოა საქმე დაუშვებლად ცნოს, და ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება საბოლოოა. თუკი პალატა საქმეს დასაშვებად მიიჩნევს, მაშინ იგი არსებითად განიხილავს თქვენ საჩივარს. თუმცა, მანამდე სასამართლო გაუგზავნის მთავრობას საჩივრის ფორმას, რათა შეატყობინოს საჩივრის არსებობა და მისცემს მას საშუალებას წარმოადგინოს პასუხი. მისი მოსაზრებები გადმოგეგზავნებათ თქვენ და მოგეცემათ საშუალება მათ უპასუხოთ. მართალია სამართალწარმოების დასაწყისში აუცილებელი არ არის ადვოკატის მიერ იყოთ წარმოდგენილი, თუმცა საქმის განხილვის ამ ეტაპზე სასამართლო გთხოვთ აიყვანოთ ადვოკატი. **გაითვალისწინეთ, რომ სასამართლო თქვენ თავად დაგიკავშირდებათ.**

- ცნობისათვის, არცერთი საჩივარი პირდაპირ არ ეგზავნება **17 მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას,** თუმცა პალატას შეუძლია მოხსნას იურისდიქცია დიდი პალატის სასარგებლოდ ან გადასცეს მას საქმე განხილვის შემდეგ ეტაპზე. იურისდიქციის მოხსნა ხდება იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციის განმარტებაზე ან, თუკი არსებობს სასამართლოს წინარე გადაწყვეტილებასთან შეუსაბამობის საფრთხე. საქმე დიდ პალატას შეიძლება რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე გადაეცეს, პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 თვის განმავლობაში, თუმცა ასეთ შემთხვევებზე შუამდგომლობას სასამართლო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკმაყოფილებს.

2. რამდენი ხანი გრძელდება საქმის განხილვა?

რთულია ითქვას საშუალოდ რა დრო დასჭირდება სასამართლოს საჩივრის განსახილველად. დრო დამოკიდებულია საქმის სირთულეზე, იმაზე თუ სასამართლოს რომელ შემადგენლობას გადაეცა იგი, თუ რამდენად დროულად აწვდიან მხარეები სასამართლოს საჭირო ინფორმაციას და სხვა მრავალ გარემოებაზე. **სასამართლო საჩივრებს გარკვეული რიგითობით იხილავს, რა დროსაც ითვალისწინებს განხილული საკითხების მნიშვნელობასა და გადაუდებელ ხასიათს.** მოცემული გულისხმობს, მაგალითად, რომ ყველაზე სერიოზული საქმეები ან საქმეები, რომელიც ეხება ფართომასშტაბიან პრობლემას უფრო ადრე იხილება. სწორედ ამით აიხსნება ის რომ შესაძლოა სასამართლომ თქვენს საქმეზე ადრე თქვენს შემდეგ წარმოდგენილი საჩივარი განიხილოს.

3. განხილვა

იშვიათ შემთხვევებში (დაახლოებით წელიწადში 30-ჯერ) სასამართლო საჯაროდ განიხილავს პალატის ან დიდი პალატის საქმეებს. თუ სასამართლო გადაწყვეტს საჯაროდ განიხილოს თქვენი საქმე, ამის შესახებ თავად შეგატყობინებთ. ყველა განხილვა იწერება და მისი ნახვა სასამართლოს ინტერნეტ გვერდზეა შესაძლებელი.

სამართალწარმოების დასრულება

არსებობს სასამართლო განხილვის დასრულების რამდენიმე ფორმა.

1. საჩივრის არსებითად განხილვაზე უარის თქმა

➡ საქმის მასალების განადგურება

თუ სამართალწარმოების დასაწყისში სასამართლო დაგიკავშირდებათ და თქვენ არ უპასუხებთ ან არ უპასუხებთ დადგენილ ვადაში, სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ თქვენ აღარ გსურთ საქმის გაგრძელება და დახუროს საქმე. თქვენი საქმის მასალები განადგურდება და არ გექნებათ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

➡ სასამართლოს სიიდან საქმის ამორიცხვა

სამართალწარმოების მოგვიანებით ეტაპზე, მას შემდეგ რაც თქვენი საჩივარი გადაეცემა სასამართლოს შემადგენლობას, სასამართლომ შესაძლოა ამორიცხოს იგი განსახილველ საქმეთა სიიდან თუკი თქვენ არ უპასუხებთ სასამართლოს შეკითხვებს დადგენილ ვადაში; ამ შემთხვევაში სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ თქვენ აღარ გსურთ საქმის გაგრძელება. საქმე სიიდან შესაძლოა ამორიცხოს მორიგების ან ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზეც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე უპასუხოთ. ამგვარად თქვენ უზრუნველყოფთ, რომ სასამართლომ არ მიიჩნიოს, რომ თქვენ აღარ ხართ დაინტერესებული საქმის განხილვის გაგრძელებით და თავიდან აიცილებთ სასამართლოს მიერ საჩივრის სიიდან ამორიცხვას ან საქმის დახურვას.

➡ საქმის დაუშვებლად ცნობა

თუკი ვერ დააკმაყოფილებთ სასამართლოს მიერ დადგენილ დასაშვებობის რომელიმე კრიტერიუმს, სასამართლო დაუშვებლად ცნობს თქვენ საჩივარს. საჩივრის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა.

2. გადაწყვეტილების გამოტანა

თუ თქვენი საჩივარი არ იქნა მიჩნეული დაუშვებლად, მისი განხილვის შემდეგ, სასამართლომ შესაძლოა დაადგინოს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის დარღვევას ან, პირიქით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა. თუკი სასამართლო დაადგენს დარღვევას, მან შესაძლოა მოგაკუთვნოთ კომპენსაცია. თუმცა გაითვალისწინეთ, არავითარ შემთხვევაში სასამართლო არ აუქმებს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას.

კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და შეუძლებელია მისი გასაჩივრება. პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო ხდება მისი მიღებიდან 3 თვეში. მოცემული 3 თვის განმავლობაში თქვენ ან მოპასუხე მთავრობას უფლება გეძლევათ მოითხოვოთ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა მისი ხელახლა განხილვის მიზნით. გაითვალისწინეთ, რომ სასამართლო მსგავს შუამდგომლობებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკმაყოფილებს. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

როდესაც დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილება ძალაში შევა, სასამართლო მას გადაუგზავნის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რადგან ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია განახორციელოს მონიტორინგი სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. ამით სრულდება სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება.

შესაბამისად, სასამართლოში საჩივრის წარმოდგენისას მნიშვნელოვნია დააკმაყოფილოთ დასაშვებობის კრიტერიუმები. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვალდებული იქნება არ მიიღოს თქვენი საჩივარი წარმოებაში და დატოვოს იგი განხილვის გარეშე.

ამასთან, როდესაც სასამართლო საჩივარს დაუშვებლად სცნობს, მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და შეუძლებელი იქნება საქმის ხელახლა განიხილვის მოთხოვნა ან იმავე საჩივრის ხელახლა წარმოდგენა.

სასარგებლო ინფორმაცია

■ **ანონიმურობა**

სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია. თუ არ გსურთ საზოგადოებისთვის ვინაობის გამხელა, ამის შესახებ საჩივრის ფორმის შევსებისას უნდა განაცხადოთ და განმარტოთ თუ რატომ არ გსურთ ვინაობის გამჟღავნება.

■ **მორიგება**

თუ სასამართლო თქვენს საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი შეეცდება შეთანხმების მიღწევას - მორიგება - თქვენსა და მოპასუხე მთავრობას შორის. თუკი მორიგება შეუძლებელია, მაშინ სასამართო განიხილავს თქვენს საჩივრებს და გამოიტანს გადაწყვეტილებას.

■ **ცალმხრივი დეკლარაცია**

თუკი თქვენ დაუსაბუთებლად განაცხადებთ უარს მორიგებაზე, სასამართლოს უფლება აქვს ამორიცხოს თქვენი საჩივარი განსახილველი საქმეების სიიდან მას შემდეგ, რაც მთავრობა წარმოადგენს ცალმხრივ დეკლარაციას, რომლითაც აღიარებს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის დარღვევას და იკისრებს ვალდებულებას ადექვატური სამართლებრივი დაკმაყოფილების შესახებ.

■ **დროებითი ღონისძიებანი**

თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ დროებითი ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ან თქვენს ჯანმრთელობას ემუქრება უშუალო და სერიოზული საფრთხე - მაგალითად, თუკი განიხილება თქვენი იმ ქვეყნისთვის გადაცემა, სადაც თქვენი წამების რეალური საფრთხე არსებობს.

ხშირად დასმული შეკითხვები

■ **თუ მე მივმართავ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, გულისხმობს თუ არა ეს იმას, რომ აღარ ვარ ვალდებული დავემორჩილო ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას?**

არა, ადამიანის უფლებათა სასამართლოსადმი მიმართვას არ აქვს შემაჩერებელი ძალა. თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებს მაშინაც კი, თუკი საჩივარს წარმოადგენთ სტრასბურგის სასამართლოში.

■ **შეუძლია სასამართლოს დამეხმაროს ადვოკატის მოძიებაში?**

არა, სასამართლო ვერ დაგეხმარებათ ადვოკატის მოძიებაში. დაუკავშირდით, მაგალითად, თქვენი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციას და მოსთხოვეთ წევრების სია.

■ **შეუძლია სასამართლოს დახმარება საჩივრის ფორმის შევსებაში?**

არა, სასამართლო ვერ დაგეხმარებათ საჩივრის ფორმის შევსებაში. სასამართლომ უნდა შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა მის წინაშე წარდგენილი ყველა საქმის მიმართ. თუმცა, შეგიძლიათ გაეცნოთ საჩივრის შეტანის გზამკვლევს, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში და რომელიც შეიცავს ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციას საჩივრის წარმოსადგენად.

■ **არსებობს იურიდიული დახმარების სისტემა?**

დიახ. თუმცა, იურიდიული დახმარების მოთხოვნა სამართალწარმოების დასაწყისში არ ხდება, არამედ შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება თქვენი საქმის შესახებ მთავრობისათვის შეტყობინების გაგზავნა. ასევე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ იურიდიული დახმარება ავტომატურად არ გაიცემა ყველა მომთხოვნზე.

■ **პირადად რომ მივიდე სასამართლოში, შევძლებ თუ არა უშუალოდ განვამტო ჩემი საქმის არსი ან რაიმენაირად დავაჩქარო მისი განხილვა?**

არავითარ შემთხვევაში. სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება წერილობით ხორციელდება და სასამართლოში მოსვლას აზრი არ აქვს, უბრალოდ დროს დაკარგავთ.

შეუძლია თუ არა სასამართლოს იურიდიული კონსულტაცია გამიწიოს?

სასამართლოს ფუნქციებში არ შედის თქვენს ქვეყანაში არსებული იურიდიული პროცედურის შესახებ იურიდიული კონსულტაციის გაწევა. რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს პროცედურას, ყველაფერი დეტალურად არის აღწერილი სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე განთავსებულ საინფორმაციო დოკუმენტებში. სასამართლო ვერ გეტყვით თუ წარმატების რა შანსი აქვს თქვენს საჩივარს; საჭიროა დაელოდოთ სასამართლოს განჩინებას ან გადაწყვეტილებას.

შეუძლია თუ არა სასამართლოს მიიღოს ზომები იმ ქვეყანაში რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ჩემი საჩივარი?

არა. სასამართლო ვერ მიიღებს ვერანაირ ზომას იმ სახელმწიფო ორგანოს წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ უჩივით. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია მოსთხოვოს სახელმწიფო ორგანოებს გარკვეული ზომების მიღება ან მათგან თავის შეკავება მანამდე სანამ სასამართლო არ განიხილავს საქმეს (ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომჩივანი არის სერიოზული ფიზიკური ზიანის საფრთხის წინაშე).

განხილული აქვს თუ სასამართლოს ჩემი საქმის მსგავსი სხვა საქმეები?

სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება მის ინტერნეტ გვერდზე. შეგიძლიათ მოიძიოთ არსებული გადაწყვეტილებები და ნახოთ განხილული აქვს თუ არა სასამართლოს თქვენი საქმის მსგავსი საქმე.

თუ ჩემი საჩივარი მიუღებლად იქნა ცნობილი შემიძლია თუ არა გავასაჩივრო ეს გადაწყვეტილება?

გადაწყვეტილება მიუღებლად ცნობის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მომჩივნებმა დაიცვან საჩვრის დასაშვებობის ყველა კრიტერიუმი ვიდრე სასამართლოს მიმართავენ.e.

როგორ შემიძლია მივიღო ინფორმაცია ჩემი საქმის შესახებ?

სასამართლო ვერ უპასუხებს ყველა მოთხოვნას მის წარმოებაში არსებული საქმეების პროგრესის შესახებ. იმის გამო, რომ სამართალწარმოება წერილობით ხორციელდება, სასამართლო თავად მოგწერთ თუ დასჭირდება დამატებითი ინფორმაცია და შეგატყობინებთ სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპების შესახებ. ინფორმაცია მოცემული იქნება სასამართლოს ინტერნეტ გვერდზეც (საჩივრის მოპასუხე მთავრობისთვის გაგზავნა, მხარეებისათვის შეკითხვების გაგზავნა, დასაშვებობის გადაწყვეტილება და სხვა).

თქვენი საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში:

როგორ მივმართოთ სასამართლოს და როგორ განიხილება თქვენი საჩივარი

European Court of Human Rights
Council of Europe
67075 Strasbourg cedex
France

www.echr.coe.int

Design © ECHR · Photo © Shutterstock

KAT